“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო” 2009 წლის კორუფციის აღქმის ინდექსს აქვეყნებს

პრესრელიზი

17 ნოემბერი 2009 – თბილისი, საქართველო – კორუფციის დონე საქართველოში მცირედით შემცირდა “საერთაშორისო გამჭვირვალობის” (TI) 2009 წლის “კორუფციის აღქმის ინდექსის” (CPI) შედეგების მიხედვით.

“კორუფციის აღქმის ინდექსი” შემუშავდა და გამოქვეყნდა “საერთაშორისო გამჭვირვალობის” სათავო (ბერლინის) ოფისის მიერ. საქართველოს ინდექსი ეყრდნობა ექვსი ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციის და ფინანსური ინსტიტუტის მიერ 2008-2009 წლებში ჩატარებული შვიდი კვლევის შედეგებს[1], რომლის მიხედვითაც საქართველო 180 ქვეყნიდან 66-ე ადგილზე გავიდა და 4.1 ქულა მიიღო[2]. გასულ წელს საქართველოს ქულა 3.9 იყო.

კვლევების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ საქართველოს ქულის ზრდის მიზეზებს შორის მთავარი კორუმპირებული მოხელეების გახმაურებული დაპატიმრებები, საჯარო მოსამსახურეების ხელფასების გაზრდა, ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება, ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის შემცირება და ზოგადად, ბიზნეს კანონმდებლობის დახვეწა და ეკონომიკური მართვის სისტემის გაუმჯობესებაა.

შედარებით უარყოფითად ფასდება დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, საჯარო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის ხარისხი, კონკურენციის სისტემა, საკუთრების უფლების დაცვა და ხელისუფლების ზედა დონეზე არსებული კორუფციის შემცირება.

საქართველოს ინდექსში გამოყენებული კვლევები

1. *“ქვეყნების საქმიანობის შეფასების რეიტინგი”*, აზიის განვითარების ბანკი, *2008*, რომელიც იკვლევს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და კორუფციას საჯარო სექტორში.
2. *“ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი”*, ბერტელსმანის ფონდი, *2009*, რომელიც აფასებს ხელისუფლების უნარს გამოავლინოს და შეზღუდოს კორუფციის ფაქტები.
3. *“გარდამავალი ქვეყნები”*, თავისუფლების სახლი, *2009*, რომელიც მთავრობაში კორუფციის გავრცელების დონეს ანტიკორუფციული ინიციატივების განხორციელებასთან ერთად, ხალხის აღქმისა და მედიის მიერ ასეთი ფაქტების გაშუქების მიხედვით ზომავს.
4. *“ქვეყნების რისკების სამსახური”*, გლობალური ხედვა, *2009*, რომელიც აფასებს საჯარო მოხელეების კორუმპირებულობის სიხშირეს, როგორც მცირე ბიუროკრატიული,ასევე მასშტაბური პოლიტიკური გარიგებების კუთხით.
5. *“ქვეყნების პოლიტიკის და ინსტიტუციური შეფასება”*, მსოფლიო ბანკი, *2008*, რომელიც აფასებს კორუფციის დონეს, ინტერესთა კონფლიქტს, საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის შემთხვევებს და ანტიკორუფციული კუთხით დადაგმულ ნაბიჯებსა და მიღწევებს.
6. *“გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში”*, მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი, *2008*, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მთავრობის სხვადასხვა საქმიანობასთან დაკავშირებულ უკანონო გადასახადებსა და ქრთამებზე.
7. *“გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში”*, მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი, *2009*, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მთავრობის სხვადასხვა საქმიანობასთან დაკავშირებულ უკანონო გადასახადებსა და ქრთამებზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
თამუნა ქაროსანიძე, აღმასრულებელი დირექტორი
tamuna@transparency.ge

[1] ამ კვლევებში მონაწილეობენ რეზიდენტი და არარეზიდენტი ექსპერტები და ბიზნესმენები.
[2] მაქსიმალური ქულა, რაც ქვეყანას CPI-ით შეიძლება მიენიჭოს, ათია.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge